საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 326 1918 კვირა, სექტემბრის 8. № 326

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ჩვენი ჯარი ალბულახში შევიდა: მცხოვრებნი მორჩილებას აცხადებენ და იარაღს აბარებენ.

ზინოვიევი აცხადებს-ლენინის დაჭრას და ურიცკის მოკვლა ინგლისელების საქმეაო.

**სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.**

---

ტფილისის ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს

## სოფიო ნამგალაურის,

აღნიშნულ წრის გამგეობის წევრის და უმაღლეს კურსების მსმენელის, ტრაგიკულად გარდაცვალებას კავკავში. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, ენკენისთვის 8-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 967

---

ბიძაშვილი ნინო, თავისი მეუღლით: დავით ებანოიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, სექტემბრის 8-ს დილის 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

### პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძის

სულის მოსახსენებლად. 960

---

**კახელ** მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა აცხადებს, რომ **საგანგებო კრება** საზოგადოება „კახეთი“-ს რომელიც აგვისტოს 31-ს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობით: მეორე კრება დანიშნულია ქ. თელავში ენკენისთვის 20 (ახალი დროით) საღამოს 7 საათზე. ეს კრება წესდების მე-40 მ. თანახმად **კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.** კრების საგანია: 1) საზოგადოების ახალი წესდება, 2) დამფასებელი კომისიის ინსტრუქცია. 3) მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირები, 4) ბინის საკითხი, 5) დამატებითი აღრიცხვა, 6) გამგეობის წევრების ორი კანდიდატის არჩევა და 7) მიმდინარე საკითხები. 864

---

## განცხადება

**ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილებისა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სექტემბრის 5-ს დადგენილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 15-დან მოსპობილია განაღდება ყველა „ასიგნოვკების“ და ჩეკებისა, რომელიც ლიკვიდაცია მომხდარ ნაწილების, დაწესებულებათა, მმართველობათა, სამხედრო-საზოგადო ორგანიზაციების და სხვ. მოხელეებს აქვთ მიცემული. კავკასიის და ამიერ-კავკასიის ფრონტის ზემოხსენებულ დაწესებულებათა. ჩეკების და სხვ. პატრონებს ფულის მაგივრად მისცემენ მხოლოდ მოწმობებს, რომ ისინი არიან კრედიტ. რუსეთის სახელმწიფოისა.

ზემოხსენებული ფულია დოკუმენტები, რომელიც შევა საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილებაში სექტემბრის 15 შემდეგ—აღარ განიხილება.

საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილების მთავარმმართველი (ან მისი მოადგილე) მთხოვნელებს იღებენ ყოველ დღე 10—12 საათამდე, ფინანსთა სამინისტროს ბინაზე (გოლოვინის პრ. II 22). 1300

მთავარ-მმართველი **დ. აბხაზი.**

---

### ხელოვნების მფარველი კავკასიის საზოგადოება
(გრიბოედოვის ქუჩა)

**მხატვრობის და ქანდაკების სკოლა საარქიტექტურო განყოფილებით.**

მიიღება მოწაფეები ორივე სქესისა შემდეგ სპეციალობაზე: 1) მხატვრობა, 2) ქანდაკება, 3) არქიტექტურა. კურსი ოთხ წლიანია. ნამდვილ მოწაფედ შესასვლელად საჭიროა გიმნაზიის სამი კლასის ან უმაღლეს საქალაქო სკოლების მოწმობით. გარდა ოთხ წლიანი კურსებისა მსურველთათვის იხსნება **ერთ წლიანი საარქიტექტურო კურსები.** სწავლა დაიწყება სექტემბრის 16-ს. ცნობების მიღება შეიძლება 11—2 ს. და საღამოს ხუთის ნახევრიდან შვიდის ნახევრ საათამდე. 921

---

### ტფ. საფერშლო სკოლის მოწაფეთა მშობლების საყურადღებოდ!

ამით ვაცხადებ, თანახმად სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებისა, რომ პირველი კლასი საფ. სკ. გაეროვნებული იქნება. გამოცდები იქნება ორ საგანში: ქართულ ენაში და არითმეტიკაში. მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 19-ს; ხოლო სწავლა **სექტემბრის 22-ს.**

პანსიონი არსებული ტფილისის საფერშლო სკოლასთან ამიერიდან დაიხურა და მშობლები მოვალენი არიან თავიანთ შვილებზე იზრუნონ. ყველა პანსიონერი დღეიდან გარედან მოსიარულე მოწაფეების რიცხვში გადაირიცხება.

1292 სკოლის გამგე: **დ. ა. გედევანიშვილი.**

---

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართებლობის მკათათვის 16-ის დადგენილებით ამიერ არსდება საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, ენკენისთვის 8-ს, დილის 12 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

**დღის წესრიგია.**

1. ექიმი მ. ზანდუკელის მოხსენება.
2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება.
3. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კრებაზე დასწრება შეუძლიან ყოველ ქვეშევრდომს საქართველოს რესპუბლიკისას, ხოლო გადამწყვეტი ხმა მიეცემა იმას ვინც შეიტანს საზოგადოების მოლარესთან წლიურ ხვედრს, რომლის მიღებაც დავალებული აქვს ამავე კრებაზე ა. ხუციშვილს 1299

---

**სექტემბრის 10-ს, დილის 10 საათზე**

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შენობაში (მიხეილის ქუჩა, 178) შესდგება

### ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა რწმუნებულების
## ყრილობა

**დღის წესრიგი:**

1) გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ წარსულ წელში;
2) კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წ.;
3) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა;
4) განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა;
5) კავშირის რეორგანიზაცია;
6) კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა;
7) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა;
8) დამატებითი არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა;
9) დამატებითი არჩევნები მეთვალყურე საბჭოს წევრებისა;

თითოეულ მოკავშირე კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი და კიდევ ერთი თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუალებით ნავაჭრისა აღემატება 25,000 მან., ორი წარმომადგენელი, თუ ასეთი აღემატება 50,000 მან. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთი საზოგადოებისა 4-ს არ უნდა აღემატებოდეს (წესდ. მუხ. 19)

კრება, თანახმად წესდების მე-33 მუხლისა, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად რწმუნებულთა დასწრე რიცხვისა.

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.** 1277

---

## ქართული კლუბი

კვირას სექტემბრის 8-ს 1918 წ. კლუბის ბაღში გაიმართება

### სინემატოგრაფი

რომელიც საზოგადოებას უჩვენებს უკანასკნელ სურათებს დასავლეთის ფრონტზე. ეს სურათები მიღებულია გერმანულ ფირმებიდან და გადაღებული პირდაპირ ბრძოლის ველიდან, დასაწყისი საღამოს 9 საათზე. სინემატოგრაფის სურათების ნახვა ყველასათვის უფასოა. 1301

---

## ტფილისის კონსერვატორია

მისაღები გამოცდები დანიშნულია სექტემბრის 13-დან.

თხოვნები მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს.-მდე.

ასწავლიან: ფორტეპიანოზე, სკრიპკაზე, სიმღერას, ვიოლონჩელზე, ყველა ხისა და თითბრის ინსტრუმენტებზე, მუს. თეორიას და სოლფეჯიოს, მსოფლიო მუსიკ. ისტორიას და სხვა.

ახლად დაარსდა შემდეგი კლასები: სპეციალური ჰარმონია (კლ. პეტროგრადის კონსერვატორიის პროფეს. მ. მ. ჩერნოვისა), ვოკალური ანსამბლის კლასი (პროფეს. ნ. ნ. ჩერეპნინისა), ოპერის კლასი. ქართული სახალხო-საეკლესიო მუსიკის ისტორია (უფრ. მასწავლ. დ. ი. არაყიშვილისა), სომხური საეკლესიო მუსიკის ისტორია (ა. გ. ტერ-გევანდიანისა), მუსიკის ისტორიის კურსი (ლექტორი ს. ჩემოდანოვი), ესთეტიკა (ლექტ. ს. გოროდეცკი).

განახლებული იქნება (პროფესორ ნ. ნ. ჩერეპნინის ხელმძღვანელობით) ორკესტრის და გუნდის კლასები.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 20-ს.

1296 დირექტორი **ნ. ნ. ჩერეპნინი**

---

## განცხადება

რადგანაც სექტემბრის 1-ს მოწვეული რაჭა-ლეჩხუმელთა

### საზოგადო კრება

სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბის შენობაში) გადაიდო უფრო ფართო საზოგადოების მოსაწვევად, ამიტომ კრების მომწვევი კომისია სთხოვს რაჭა-ლეჩხუმელ თქალაქეთ დ თანამგრძნობთ მობრძანდნენ კრებაზე სექტემბრის 8-ს მუშტაიდში დემოკრატიულ კლუბის შენობაში, დილის 10 საათზე. გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ. საკითხები: წესდების დამტკიცება და გამგეობის არჩევა.

1298 **კრების მომწვევი კომისია.**

---

**ვეძებ ოთახს** ვერის და მთაწმინდის რაიონში, მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, იკითხეთ „სახ. საქმის“ რედაქციაში ქრისტ. რაჭველიშვილი. 1302

---

**ტფილისი, სექტემბრის 8**

ბაქოდან დღითი დღე სამწუხარო შინელი ცნობა მოგვდის.

უკვე ოც დღეზე მეტია, რაც ოსმალეთის ჯარის ყუმბარები ქალაქში ვარდება და ხოცავს მცხოვრებლებს. ოსმალეთის ჯარის სალტე თან და თან უახლოვდება ბაქოს და გუშინ უკვე ახალი ცნობა მოგვიტანეს: ოსმალოების ყუმბარები უფრო ხშირად ხვდება ქალაქს და სასოწარკვეთილებაში აგდებს მოქალაქეთ.

ქალაქი ბაქო და მისი სამრეწველო რაიონი საქართველოს საჭირბოროტო საკითხსაც შეადგენს. შვიდი ათასამდე ქართველი ცხოვრობდა ბაქოს მიდამოებში. ხოლო ეკონომიურად ჩვენ ბევრი საერთო საქმე გვქონდა ბაქოში. ეხლა კი როგორც ჩვენს მცხოვრებს, ისე ინტერესებს ზარბაზნების ყუმბარებით უმასპინძლდებიან. ამავე დროს ბაქოთი იმდენადაც ვართ დაინტერესებული, რამდენადაც საზოგადოდ გვაინტერესებს მოძმეთა ბედი და არ გვინდა ჩვენს გვერდით ავანტიურა იყოს გამეფებული.

თავიდანვე უკანასკნელ წუთებამდე ბაქოს პოლიტიკა კი ავანტიურისტული შეიქმნა, რისთვისაც დღეს მრავალი ხალხი და ქონება იღუპება. ჩვენ გვინდა ბაქოს დრამატურგებს ერთხელ კიდევ შევეხოთ, რათა ყველამ იცოდეს, ვინ რისთვის შეგვიქმნა ეს დიდი და არასასურველი ახალი ფრონტი.

ყველამ ძალიან კარგად იცის: ყველგან მოხდა დემობილიზაცია და ცხოვრების ნაციონალიზაცია, მაგრამ ბაქოში პირველიც ჩაილრჩო და მეორეც. რა ნაირი შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს ბაქოსა და თათრებზე, ერთი რამ ყველასათვის აშკარა უნდა იყოს: ბაქო თათრების სამეფოა და ამიერკავკასიის ყველა ერი ბაქოს ასე უნდა უყურებდეს.

ბაქოში ყოველთვის თათრობა სჭარბობდა და ის თათრობის სამეფოს გულია დღესაც საუბედუროდ, სომხებმა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება დაივიწყეს, შეაჩერეს დიდ ძალი რუსის ჯარი ბაქოში, მოიმხრეს იგი სომხური ბოლშევიზმის წყალობით, შეიარაღეს თვითონ სომხები და ამნაირად შექმნეს ხელოვნური უპირატესობა თათრობაზე. ამ საშინელმა და უაზრო ავანტიურამ თავიდანვე საზარელი ნაყოფი მოიტანა:—მუსრი გაავლო ადერბეიჯანის ძალებს და გაამეფეს სტეფანე შაუმიანის დიქტატურა.

ნუ თუ სომხის პოლიტიკოსები და დაშნაკელები მართლა ფიქრობდნენ, რომ ამ გზით ისინი შესძლებდნენ ბაქოს სამუდამოდ ხელში ჩაგდებას. შაუმიანი და დაშნაკცუთიუნი ძალზე ცდილობდნენ რუსობის ჩამოპატიჟებას მოსკოვიდან, მაგრამ გზად შეჩერებული გახულიგანებული რუსის ჯარი თოვლივით ქრებოდა ბაქოდან და ამნაირად საეჭვო ხდებოდა სომხური ავანტიურა ბაქოში. სწორედ ამ დროიდან იწყება სომხური შემოქმედების ცვლილება, შეუდგნენ ინგლისელების მოწვევას. შესცვალეს საამისოდ მთელი პოლიტიკური ფილოსოფია და მოახერხეს ამ გზით ხუთასიოდე ინგლისელის შემოყვანა ბაქოში. რაც გააკეთეს ინგლისლებმა და სომხებმა ამ პოლიტიკით—ისიც ცხადია, გერმანელებმა და ოსმალოებმა ამიერკავკასიაში გაცილებით მეტი სამხედრო ძალა დააგროვეს და დღეს ინგლისელები და სომხები ბაქოში უკიდურეს ყოფაშია ჩაცვივნული. რასაკვირველია, ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს ავანტიურისტების ბედი, გვაინტერესებს თვით მშრომელი ხალხის და ბაქოს მდგომარეობა და ამიტომ ვეკითხებით სომხის გავლენიან პარტიას: რა გააკეთეს მათ თავიანთი ავანტიურით და რას აპირებენ ისინი დღეს, რომ ამ საშინელ ავანტიურას ბოლო მოეღოს?

ბაქო ადერბეიჯანის სამეფოა, მაგრამ ბაქოს მშვიდობაში მთელი ამიერ-კავკასიაა დაინტერესებული. მხოლოდ ამ მოსაზრებით ბაქოს საქმეების სამშვიდო ლიკვიდაციისთვის ბაქოს ამბებში ჩაერია საქართველოს მთავრობა, რომლის მუშაობა ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ იქნება თუ სომხური ავანტიურა აღიგვება და სომხის გავლენიანი პარტია გაიზიარებს საქართველოს კეთილ შუამდგომლობის აზრს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სომხობამ სათანადო ნაბიჯი გადადგას ამ მხრივ, ხელი შეუწყონ „ბოლშევიკურ“—ინგლისურ ავანტიურის ლიკვიდაციას ბაქოს მიდამოებში და მით დახსნილ იქმნეს უბედურობისაგან ქალაქი და მცხოვრებნი.

---

## სახელმწიფოებრივი მთლიანობა

ამას წინად ვწერდი, ადგილობრივი თვითმართველობა უნდა იყოს ნაწილი სახელმწიფოებრივ მართველობისა, საქართველოს რესპუბლიკა უნდა შესდგებოდეს ავტონომიურ, თვითმართველ მაზრებისაგან.

როცა ერობის დებულებას შევიმუშავებთ, ეს ძირითადი შეხედულობა საფუძვლად უნდა დავიდვათ და ამით უნდა განვსაზღვროთ ერობის მოქმედების სარბიელი.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელ პირობებში ასეთი პრინციპის სრული განხორციელება შესაძლებელი იყოს. იმნაირი ერობის შემოღება, რომელიც ავტონომიას უახლოვდება, ამ ჟამად ჩვენში ყოვლად შეუძლებელია. ეს ჩვენს სახელმწიფოს კი არ გაამაგრებდა, არამედ უფრო დაშლიდა და დააუძლურებდა. ეს არეულობას უფრო გაუდგამდა ძირს და ჯერ კიდევ შეუკავშირებელ ნაწილებს უფრო დააშორებდა ერთმანეთს და რესპუბლიკის მთლიანობას განსაცდელში ჩააგდებდა.

ჩვენი ერის ერთი უდიდესი ნაკლი ისაა, რომ ნაკლები შეგნება აქვს თავის ვინაობის, პიროვნების, მთლიანობის. მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა რამდენსამე ცალკე სამეფოს და სამთავროს წარმოადგენდა. ამ ნაწილებს დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქონდათ და ამ ნიადაგზე შემუშავდა შეუგნებლობა ეროვნულ მთლიანობისა. რუსების შემოსვლამ ამ მხრით ერთგვარი სამსახური გაგვიწია, დაშორებული ნაწილები შეაერთა, ქართველი ერი ერთად შეკრიბა (გარდა ზოგი კუთხისა) და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ეროვნული გამთელების საქმეს. მაგრამ სამწუხაროდ ეს გაერთიანება ჯერ სავსებით არ განხორციელებულა და ვერ მოუპოვებია ისეთი სიმტკიცე, რომ ვერარაფერმა შეარყიოს. ჩვენში არაა ის მაღალი შეგნება ეროვნული მთლიანობისა და ერთობისა, როგორიც მოიპოვება მაგალითად ფრანგს ან ინგლისელს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევდუღებულვართ ისე, როგორც შეჰფერის ეროვნულად განვითარებულ ხალხს. ამ შედუღებას კი ჩვენი მომავალისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელი ქართველობა, ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, ისე უნდა ჰგრძნობდეს თავს, როგორც ერთი ადამიანი და ელვის სისწრაფით უნდა გადადიოდეს ყოველი ფიქრი ერთი ადგილიდან მეორეში. უამისოთ ისედაც სუსტი ქართველი ერი ვერ შესძლებს გაუმკლავდეს და თავი დააღწიოს ათასნაირ განსაცდელს, რომელიც გარს არტყია.

არის მეორე დიდი გარემოებაც. რუსების გაბატონებამდისაც ჩვენი სამშობლო ოსმალთა და სპარსთა სათარეშო იყო, ჩვენი თვითმოქმედება შებორკილი იყო, ქართველის სახე, ეროვნული ინდივიდუალობა ყოველმხრივ იჩაგრებოდა, ქართველი ერის წევრობა უპატივცემულო, აგდებული იყო, გარეშეს მეტი პატივი და გასავალი ჰქონდა. ეს მდგომარეობა რუსის ბიუროკრატიამ უფრო გააღრმავა და გააძლიერა. ძირიან-ფესვიანად შეიცვალა ქართველის სულიერი აგებულება, დაეკარგა საკუთარი თავის რწმენა, გადაეჩვია თავის პატრონობას, დაავიწყდა სახელმწიფოებრივობა. მისთვის თითქმის გარდაუვალ მცნებად შეიქნა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია, ქართველი ერი საკუთარის სახელმწიფოს ვერ მოაწყობს, ვერ გაუძლებს და უთუოდ სხვის ხელმწიფობას და ბრძანებლობას უნდა დაემორჩილოს. ეჭვი არაა, დღევანდელ არევ-დარევაში ჩვენი ხალხის ამ ეროვნულ ურწმუნოებას არა მცირე როლი ეკუთვნის..

შეიძლებოდა კიდევ სხვა მიზეზიც დაგვესახელებია, მაგრამ უმთავრე სად ე

ეს წინადადება კენჭის ყრით მიღებულ იქნა. მე-18 მუხლი იწვევს კამათს. იუსტიციის მინისტრი შ. მესხიშვილი. სანამ მეორე ნაწილს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი მოგახსენოთ: ჩემის აზრით იურიდიულ კომისიას გამოტოვებული აქვს ერთი მუხლი. სიკვდილით დასჯა ეხება იმას ვინც წინასწარის განზრახვით ჩაიდინა მკვლელობა ან სხვა მსგავსი რამ. ხშირად კი ასეთ დანაშაულის გამოძიება სხვა გვარად გამოარკვევს ხოლმე, მაშასადამე სასამართლოს უნდა ჰქონდეს სათანადო კანონი რომ ასეთ შემთხვევაში საქმეს შესაფერი მსვლელობა მისცეს.

ასის მიხედვით საჭიროა კანონში შეტანილ იქმნეს ასეთი მუხლი: თუ სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ იცნო ისეთ ბოროტმოქმედებაში, რომელიც სიკვდილით არ ისჯება, ვალდებულია, განაჩენის გამოტანის შემდეგ პირვანდელ ბრალდებაში—საქმე კანონისამებრ გადასცეს სათანადო სასამართლოს.

ი. ბარათაშვილი. საქმე ის არის რომ იმ წინადადების ძალით, იუსტიციის მინისტრმა რომ შემოიტანა, საქმე რამოდენიმე ადგილას უნდა გაირჩეს და სამართლის წარმოება გაგრძელდეს და დაგვიანდეს. იურიდიულმა კომისიამ ამას მიაქცია ყურადღება და ამ მოსაზრებით გამოსტოვა ის მუხლი.

იუსტიციის მინისტრი შ. მესხიშვილი როცა შემოვიღეთ სიკვდილით დასჯის წესი და ვადგენდით საგანგებო სასამართლოს კანონს, ჩვენ ვხელმძღვანელობდით პოლიტიკურ მდგომარეობით. ამიტომ, თუ ბრალდებული დამნაშავე აღმოჩნდა იმისთანა ბოროტ-მოქმედებაში რომელიც სიკვდილით არ ისჯება, იმას არ უნდა წაერთვას უფლება, საქმის ნორმალური გარჩევისა, თუ გამომძიებელმა სათანადოდ ვერ გამოიძია საქმე და ეს ბრალდებული შესცდა ბოროტ მოქმედების დახასიათებაში, ეს მოქალაქის გადასახდელი არ არის. ამიტომ, მიუხედავად იმისა რომ საქმე შეიძლება ცოტა შეფერხდეს, ბრალდებულს უფლება და საშუალება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს იმ წესით რომლითაც დანარჩენი მოქალაქენი მის მსგავს ბოროტ-მოქმედებისათვის გაისჯებიან. ამიტომ, წინადადებას ვაძლევ ეროვნულ საბჭოს მიიღოს და კანონში შეიტანოს ჩემ მიერ შემოტანილი დამატება.

კენჭის ყრით იუსტიციის მინისტრის წინადადება მიღებულია.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ამ კანონის მის ახალ შესწორების შესახებ არას ვიტყვი მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია მოვითხოვო რომ კანონი შევიდეს ძალაში მისი გამოცხადების დღიდან.

რ. გაბაშვილი. (ნ. დ.) არც ჩვენა გვაქვს ამ კანონის საწინააღმდეგო რამე, მაგრამ საჭიროა თუ აქამდე არა ეხლა მაინც მალე გამოცხადდეს ეს კანონი.

კრება კანონ-პროექტს ამტკიცებს და იღებს.

თავმჯდომარის ადგილს იჭერს ი. ბარათაშვილი.

**საგამომძიებლო ნაწილის შეცვლა.**

რ. არსენიძე ჩვენ გამომძიებლები არა გვყავს, რადგან წინა ვინც საგამომძიებლო თანამდებობას ასრულებდა ის მოხელე იყო და ექვემდებარებოდა უფროსს. გამოძიება კი ისეთი საქმეა, რომ იგი ყველასაგან დამოუკიდებელი და მიუდგომელი უნდა იყოს. ეს წესი რუსეთში არსებობდა ძველადვე, მაგრამ ჩვენთვის აკრძალული და გაუქმებული იყო. აქ შეხვდებოდით გამომძიებელს, რომელიც დღეს თვითონ აჩენდა რაიმე კანონს ხოლო ხვალ მიემგზავრებოდა ამ კანონის განსახორციელებლად. ცხადია ასეთ გადაუკულმართებულ ინსტიტუტის ნაშთებს ჩვენ არ გავაგრძელებდით და ამიტომ გადავწყვიტეთ გავაუქმოთ ძველი გამომძიებლობა და დავაარსოთ ახალი პირდაპირი საგამომძიებლო ნაწილი.

მომხსენებელი მუხლობრივ კითხულობს ამ ნაწილის კანონს ორგანიზაციისა და შტატების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უფროს გამომძიებელს ჯამაგირად თვეში 700 მან. ეძლევა, საგზაო და კამერის ქირით.

რ. გაბაშვილი. თქვენ გინდათ, რომ დამოუკიდებელი და მიუდგომელი საგამომძიებლო დაარსოთ, მაგრამ არ მიგიქცევიათ ყურადღება იმისთვის, რომ ეს ნაწილი ნივთიერად უზრუნველყოფილი და დამოუკიდებელი ყოფილიყო. თუ ეხლანდელ სიძვირეს მხედველობაში მივიღებთ უნდა დავეთანხმოთ, რომ შვიდასი მანეთით არ შეიძლება ცხოვრება; მით უმეტეს არ შეიძლება საგზაო ხარჯი დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მე წინადადება შემომაქვს ჯამაგირად ათასი მანეთი დაენიშნოს და გადიდდეს აგრეთვე საგზაო ხარჯებიც.

იუსტ. მინისტრი შ. მესხიშვილი. მე რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა და მადლობელიც ვიქნებოდი, რომ საიუსტიციო დარგის მოხელეებს უხვი ჯამაგირები დაენიშნოს, ვინაიდან ამას თვით საქმის რიგიანად გაძღოლის ინტერესიც მოითხოვს, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სხვა და სხვა ასეთი ახალ დაწესებულებათა დაარსების გამო, ჩვენს სახელმწიფო ხაზინას განსაცვიფრებელი ხარჯები მოსდის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საიურიდიო საქმეებზე გაღებული ხარჯები, მრავალ მილიონიან რუსეთის საიუსტიციო ბიუჯეტის ნახევარს უდრის. ჩვენ ასეთ დაწესებულებათა გარდა შესანახი გვაქვს, სამი საოლქო სასამართლო, სამოსამართლო პალატა, ციხეები და სხვა—რითი გაუძღვეთ ყველა ამათ და იმ ტუსაღებს, რომელთა რიცხვიც დიდ ხარჯს თხოულობს? (გაბაშვილი ადგილიდან; დახვრიტეთ). საიუსტიციო საქმეები ჯერ ისეთ არ არის მოგვარებული რომ ჩვენის შემოსავლით დავფაროთ ხარჯები. ამიტომ, ეროვნულ საბჭოს უნდა ახსოვდეს რომ ჩვენს სახელმწიფო ხაზინას ხელგაშლილობა არ შეუძლიან ამ მოსაზრებით მე თანახმა ვარ უფროს გამომძიებლის ჯამაგირი 700 მანეთად დარჩეს და უბნის გამომძიებლისა, 650 მ. ხოლო თუ გზის ხარჯი განსაზღვრულ ინსტრუქციით გაიღეთ.

რ. გაბაშვილი. კრებამ უარჰყო ჩემი წინადადება. წარმოვიდგინოთ რომ 700 მანეთით შეიძლება ცხოვრება, მაგრამ მე მინდა შეგეკითხოთ: რა დააშავა უბნის გამომძიებელმა რომ უფროს გამომძიებელს 700 მ. უნიშნავთ ხოლო მას 650 მანეთს? თუ ეს უფროს-უმცროსობის განსაზღვრისთვის არის საჭირო, აიღეთ და ერთი მანეთით ნაკლები დაუნიშნეთ. ე. ი. 699 მანეთი. საგზაო ხარჯების შესახებ მინდა კიდევ ვილაპარაკო: რაღაც შვიდ თუმანს უნიშნავთ თვეში და გინდათ დაავალოთ რომ საქმის გამოსაძიებლად გუბერნიებსა და მაზრებში იმოგზაუროს.

რ. არსენიძე. განუმარტავს გაბაშვილს რომ ტფილისის გუბერნიაში მაგალითად 12 საგამომძიებლო ნაწილი არსდება ისე რომ თითო მათგანს ნახევარი მაზრის მოვლა დასჭირდება. და ამიტომ საკმაოდ მიგვაჩნია თვეში 70 მ. საგზაოდ.

იუსტიციის მინისტრი. როცა ამ კანონს ვიმუშავებდი თავი მოუყარე გამოცდილსა და ნამსახურ ხალხს და პრაქტიკით ვიხელმძღვანელე. აღმოჩნდა რომ წინანდელი გამომძიებლები მართლაც აუტანელ პირობებში იყვნენ. მათში უფროსი 500 მანეთს იღებს და უმცროსნი კი შედარებით ბევრით ნაკლებს, ხოლო საგზაოდ 16 მანეთს. მიუხედავად ამისა ისინი ახერხებენ საქმე ისე მოაწყონ რომ ცხოვრება არ უძნელდებათ ამიტომ ჩვენც ამასთან შედარებით, პროექტში აღნიშნული ჯამაგირები საკმაოდ მიგვაჩნია.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

**დელეგაცია ბაქოსკენ.** იმ დელეგაციამ, რომელიც ბაქოს უნდა წავიდეს საქმის მშვიდობიანად დასამთავრებლად საქართველოში მყოფ ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლისაგან მიიღო პირობები, რომლის ასრულებაა საჭირო, რათა დელეგაცია გამგზავრებულ იყოს ბაქოს ფრონტზე, პირობები შემდეგია: ბაქოში იარაღი უნდა აიყაროს დაუყონებლივ ადერბეიჯანის მთავრობას და გადასცეს მას ქალაქი და სამრეწველოები. თავის მხრივ ადერბეიჯანი ქალაქის და მის მცხოვრებთა უზრუნველყოფას კისრულობს. ეს პირობები [illegible] რადიოთი აცნობა ბაქოს მთავრობას.

**საქართველოს სამხედრო საქმეები.** სამხედრო მინისტრმა საქართველოს ჯარების ყველა ნაწილის უფროსებს [illegible] სადაც ნათქვამია: ყველა ჯარის ნაწილებში, სადაც დავესწარი, შევნიშნავ, რომ ჯარის კაცებს ოფიცერთა ხელი არ ეტყობათ, რაც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ოფიცრობა და მათი უფროსნი დიდად არ ზრუნავენ საქართველოს ჯარების რიგიან რეგულიარიზაციისთვის, რაიც ხელს უშლის სამშობლოს ჩქარა დააღწიოს თავი უკანასკნელ წლის უწესრიგობათა ქაოსსა.

ამიტომ მინისტრი უბრძანებს ყველა ნაწილის უფროსს, სასტიკი ყურადღება მიაქციონ ოფიცერთა მოვალეობის რიგიანად ასრულებას, რომელნიც ვალდებულნი არიან ჯარის-კაცებთან დღეში ექვსი საათი მაინც იმეცადინონ გაწვრთნის და მომზადებისათვის. ოფიცერთა და უფროსთა ასეთი გულგრილობა და დაუდევრობა ხელს უშლის დისციპლინიან არმიის მალე შექმნას, რაიც თვით ჩვენი სამშობლოსათვის არის საზიანო და მისი აყვავების ხელის შემშლელი. თუ ამის შემდეგ კვლავ შევნიშნავ უფროსთა ასეთ დაუდევრობას იძულებული ვიქნები მათ უნარიანობაში ეჭვი შევიტანო.

**ოსმალეთის ჯარი.** სამი დღის წინად გუმბრიდან ახალქალაქის მიმართულებით გაგზავნეს 1,500 ასკერი.

**ოსმალეთის ჯარი.** ხალილ-ფაშამ გაუცხადა სომხეთის მთავრობას, რომ მან აცნობა ოსმალეთის მთავრობას: განთავისუფლებულ იყოს ის ადგილები ოსმალეთის ჯარებისაგან, რომელიც სომხეთის მთავრობას ეკუთვნის.

**ქურდობა სასახლეში.** სექტემბრის 6-ს სასახლეში ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის დარბაზში, სახალხო გვარდიელებმა შეიპყრეს სტუდენტი [illegible]ლი, რომელსაც მოასწრეს [illegible] ფარჩის ფარდების ქურდობაში.

**საქართველოს წითელი ჯვარი.** დღეს დილის 12 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვრის საზოგადოების კრება.

**გუშინ ბაქოში გაემგზავრნენ** ისიდორე რამიშვილი და [illegible].

**რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფი** აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს სექტემბრის რვას დილის 10 საათზე მუშტაიდის კლუბში დანიშნულია კრება. დაჟინებით სთხოვენ დაესწრონ მათ, ვინც ამ ჯგუფის მიზნებს იზიარებენ ან თანაუგრძნობს მას.

**საქართველოს რადიო ტელეგრაფში.** რადიო-ტელეგრაფის ინსპექტორად სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაინიშნა ინჟინერ-ელექტრიკოსი ანდრონიკაშვილი, პოდპორუჩიკი წვერავა მის თანაშემწედ. პოდპორუჩიკი [illegible] ტფილისის რადიო-სადგურის უფროსად. პოდპორუჩიკი ჩიგოგიძე—ფოთის რადიო-სადგურის უფროსად.

**დისპუტი.** დღეს საღამოს 8 საათზე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდროვის ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა) შესდგება დისპუტი, გამართული კავკასიის თავისუფალ მოაზრეთა კავშირის მიერ ამ თემაზე:

„როგორ და რად დაიღუპა რუსეთის რევოლიუცია“.

**ჩრდილოეთ-კავკასიაში გამგზავრება.** სექტემბრის [illegible] რიცხვებში [illegible] ერთი ჯგუფი ფოთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიემგზავრება [illegible] გუნიის ქუჩაზე, 4, პოლკ. [illegible].

**მასწავლებელთა კრება.** დღეს დილით 10 საათზე კადეტთა კორპუსის სადგომში გაიმართება [illegible] ქართველთა მასწავლებელთა [illegible] დასაარსებლად [illegible] კავშირის წესდება და გამგეობის წევრების არჩევა. დელეგატებს და აგრეთვე ტფილისის მასწავლებლებს ვაუწყებთ თავის დროზე მობრძანდნენ.

**ციხეების მოწყობა.** ტფილისის საპყრობილეთა ინსპექცია შეუდგა საპყრობილეთა წესიერ რეგულიარიზაციას და ნივთების შეძენას. ამ დღეებში მიიღო მომარაგების კომიტეტისაგან 300 ახალი საწოლი. საერთოდ ზომებია მიღებული, სასანიტარო და საექიმო დარგის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით ინსპექცია საგუბერნიო ციხეში აწყობს მსუბუქ ავადმყოფთათვის სამკურნალო ოთახს და აწესებს გაძლიერებულ მორიგეობას.

**ციხის დამცველი რაზმი.** ციხის დამცველ რაზმის გაუმჯობესების მიზნით საპყრობილეთა ინსპექტორმა გადააყენა წინანდელი რაზმის მთელი შემადგენლობა და შეავსო ახალ სანდო პირებით რომელთა ხელმძღვანელადაც ოფიცრები არიან მოწვეულნი.

**დათხოვნა** სამხედრო მინისტრის ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს 1 ქვეითა დივიზიის ინტენდანტი თათარიშვილი და მისი საქმის მწარმოებელი ხოშტარია.

**აქვს. აბესაძე**, სპარსეთის დიპლომატიურ წრეებში გადაწყვეტილათ სპარსეთის ჯარების ინსტრუქტორად მოიწვიონ აქვს. აბესაძე.

**ქალთა მე-3 გიმნაზიის შენობა** საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ მოკავშირეთა სამხედრო კომისიამ დაიკავა გერმანელთა ჯარის მოსათავსებლად.

**წარჩინება.** პოლკოვნიკს ქრისტ. ჩხეტიანს გენერალ-მაიორობა ებოძა წმ. გიორგის ორდენით [illegible] მტერთა სიმამაცის გამო როტმისტრს მიხ. წულუკიძეს პოდპოლკოვნიკობა.

**აღწერა.** საპყრობილეთა ინსპექტორის განკარგულებით შესდგა კომისიები, რომელთაც დაევალათ აღწერა და ცნობაში მოყვანა [illegible] და ტფილისის საგუბერნიო ციხეთა ქონებისა, კომისიამ მეტეხის ციხეში უკვე დაამთავრა მუშაობა და მოხსენება წარუდგინა ინსპექტორს.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, სექტემბრის 8-ს დილის 11 საათზე ეროვ. საბჭოს სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება.

—

რკინის გზის მუშების კრება. ორშაბათს პარტიულ დარბაზში საღამოს 7 საათზედ დანიშნულია რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება.

განსახილველია საკონფერენციო საკითხები.

—

დღეს, სექტემბრის 8-ს დილის 11 ს. ეროვნულ საბჭოს სოციალისტთა ფრაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება.

—

ქალების კრება. დღეს სექტემბრის 8-ს საღამოს [illegible] 6 საათზე ტფილისის კომიტეტი იწვევს ამხ. ქალთა კრებას. ყველა თანამოაზრე ამხ. ქალებს ევალებათ აუცილებლივ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს პარტიულ დარბაზში.

—

ტფილისის კომიტეტის კრება დანიშნულია ორშაბათს 9 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. განსახილველია საკონფერენციო საკითხები ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

—

კუკიის და ჩუღურეთის უბნებში მცხოვრებ სოციალისტ-ფედერალისტ წევრთა კრება დანიშნულია ორშაბათს სექტემბრის 9-ს საღამოს 6 საათზე (ამ. დრ.)

ასარჩევია კონფერენციაზედ გასაგზავნი დელეგატი.

ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ბინა ჩერქეზიშვილის ქ. № 22, ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობა.

## ჟურნალისტის დღიური

ა.

ფიქრები.

პოლიტიკურ ავანტიურისტებს რომ [illegible] მოქმედების ხიდაგი გამოეცალათ, [illegible] და ცრუ [illegible] ცდილობენ, [illegible] გაზეთის [illegible] ჩვენს ქვეყანაში ერთი ეროვნულ[illegible] სახელით, ერთი ერთმანეთზე [illegible] ვილაცას გამოიტ[illegible] და [illegible] გულზე

## ჩემს კრიალოსანზე

V სიყვარული სამშობლოსი

ძღვნად ნ. ჟორჟოლს.

სიყვარული—ეს საკუთარ ცეცხლზე საკუთარი გულისწვა არის.

სიყვარული—ეს შენივე თავის წირვაა შენგანვე აღმომხდარ ღვთიურის საგალობლისა.

სიყვარული თხოულობს ყველასფერს. არასფერს კი არ გაძლევს, არცა გპირდება.

სიყვარული—ეს ბორჯილია სიხარულისა და ფოთები—შემოქმედებისა.

სიყვარული—ეს თავ-აშვებული ნატვრაა მიუწდომელის სიამისა და ნეტარებისა ჩვენს გარშემო ტანჯვის ცეცხლად შემოვლებული.

სიყვარული—ეს არის საშინელი, დაუკმაყოფილებელი წყურვილი სიცოცხლით ბედნიერებისა, ცოდნით, ფოთებით და სხვა ათასით დამძიმებულის ადამიანის.

სიყვარული — მხოლოდ კვნესაა და ტანჯვა.

სიყვარული ყველასფერია.. არაფრის სათქმელად.

კაცს სცივა მარად ჟამს სიცოცხლეში. მაგრამ სიყვარულის ცეცხლზე გათბობა არ შეიძლება მასზედ უნდა დაიწვას ყოველთვის...

არა, ყოველთვის არ შეიძლება ყველას ამხილო—თუ რა არის სიყვარული.

იგი საიდუმლოებაა გულის.

მხოლოდ ერთის წუთით—ვიდრე კალამი დამშრებოდეს მსურს ჩავიხედო გულში და აღმოვსწერო სტრიქონები სიყვარულისა.

სიყვარული—ეს არის უცნაური ძალა ანდამატური, რომელიც შენს არსებას განიტაცებს რომელიმე უმიზნოდ ღვთაებისაკენ სალოცავად, სამსხვერპლოდ, სიცოცხლედ, და სიკვდილად.

მე არ ვიცი თუ რა არის სიყვარული სამშობლოსი, მხოლოდ ვგრძნობ მას ჩემს გულში ვითარცა ცეცხლს, წყაროსა უმრეტს, ვითარცა მზესა და მთვარეს. ვგრძნობ მისთვის სიხარულს, მისთვის ტანჯვას და ეს შეადგენს ჩემი ცხოვრების დღესა და ღამეს.

ცისკენ ტრფიალით აღმოფრენილსა ტანჯვას არვის შევსჩივლებ. მაგრამ მიწაზედ, ამ გაუტეხავ საპყრობილეში ვნატრობდი მარად ვყოფილიყავ თავისუფალი. და მონობა ჩემის ქვეყნისა, საქართველოსი საშინელ ბორკილად ედებოდა ჩემ გულის ზოახვათ და ხელს მიშლიდა გადმელაბა მისი სამზღვარი და გავმხდარიყავ ერთგულ შვილად კაცობრიობის.

მე მიხა ვიყავ ჩემის ქვეყნის საშობლოს დამონებისა. მიყვარდა იგი რადგან ტანჯვით გვირგვინ მოსილი კეთილშობილურ ბრძოლის წყურვილს განალევიძებდი.

ძრავალ სახიერია სიყვარული სამშობლოისა და უფრო მრავალსახიერია სიყვარული იგი ტანჯვად ქცეული.

იცით რა არის ჩემთვის სიყვარული სამშობლოსი?

ოდესაც ჩემს არსებაში აღმოცენდილ ქარიშხლით მოუსვენრად დევნილი განვშორდებოდი ყველასფერ მას, სადაც თვალთა ჩემთა შეუსუსტლებით სილამაზის ფერთა ხხივ-მფენობა, ყურნი ჩემნი დამტკბარან ბუნების მკერდიდან აღმოხეთქილ ათასხმოვან ჰანგებით, სადაც პირველად შემიცნია დიდება ცისა და საიდუმლოებით განსახიერებული მშვენება დედამიწის სიუხვით ზე-აღმომხდარი, მაშინ სიბნელეში წინსვლით გზა-დაკარგულს თუ ალიომიდებოდა ოდესმე კვნესა ჩემს უკან მოსახედად, ეს კვნესა იქნებოდა სალამი ჩემის გულისა—ჩემის ქვეყნისადმი მიძღვნილი და ეს იყო—ჩემი სიყვარული სამშობლოსადმი.

პომპეის ნანგრევთა შორის ფიქრწაღებული, კოლიზეუმის საუკუნოებით განადიდებულ კედელთა ხედვით სევდაპყრობილი, ვეზუვიის გორდოლაში ბინდდილივით მოცეულ, რა ავხედავდი ჩემი სულის ცას მარადისობის წიგნში ნიშნით ბოქვილი. ვხედავდი მხოლოდ ერთ ვარსკვლავს სახუგეშებელს, მას გავანდობდი აღუსრულებელ საუგუნოთ ჩემის გულისა. უსამზღვროების სიბნელეში მაცქერალნი თვალნი მხოლოდ მას სინათლეზე შესვენებოდენ. ეს იყო ვარსკვლავი ჩემის ქვეყნისა — [illegible] ლოსი, ეს იყო ჩემი სიყვარული სამშობლოსადმი.

ან სხვა და სხვა სასახლეებში ღლეთა ლევის დროს, სადაც მრავალი მეტყველი მარმარილო მძლეთა-მძლე სილამაზედ განსახიერებულია და გენიოსთა შემოქმედებას გულის ხალისად, სულის ბალნაოდ გადაუშლია ფერთა დიდება და ულეველი საგალობელი სიყვარულზედ და მშვენიერებაზედ, სადაც გაშიცდია რაღაც ძალა და უმყარობა, ცად აზდომაც და მიწად-მტვრად ქცევაც ადამიანის შემოქმედებისა, მისი სულის ვეფხვებრივ ბტოვისა და არწივად ფრენისა. იქ მთელ ჩემ ფიქრებს, ჩემს გულის ზოახვათ, ჩემს მიწაზედ ნიშველი ადამიანად ყოფნას ცეცხლის სარტყელად შემოვლება ერთი ხაზი ჩემის განწირულობისა — თუ ყველაფერი ეს რატომ არ მაქ-მიძს ვიხილო და განვიცადო ჩემს ქვეყანაში და ეს ჩემი გულიდან ამოწყვეტილი ელვა იყო სიყვარული ჩემის სამშობლოსადმი.

ან ნორვეგიის მთათა შორის წაურყვნელ ბუნების ველურ მშვენებით დამათვრალი რა მოვიცლიდა გონს და მიმოვავლებდი თვალთ გარემო არეს, თითქოს მწყინდა, გული მტკიოდა, რომ ჩემ ქვეყანასავით მშვენიერი, ან იქნებ უფრო მშვენიერიც, სხვა მხარეც ყოფილა და ეს გულის ტკივილი იყო ჩაუქრობელი ცეცხლი ჩემის სამშობლოს სიყვარულისა.

უკეთესს ვიხილავდი სადმე—მწყინდა, რომ იგი ჩემს ქვეყანაშიც არ არის. ცუდს ვიხილავდი და—მიხაროდა, რომ ჩემი ქვეყანა მადლობა ღმერთს, მასზედ [illegible].

და ეს ერთმანეთის მოცილე წყენა და სიხარული იყო ჩემი სიყვარული სამშობლოსადმი.

ოო, მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს! არ ვიცი კი რათ, რადგან არაფერი სიამე არ მახსოვს იქიდგან: არც ცხოვრების დღესასწაული, არც სხვა სიკეთე. სამაგიეროდ ყოველი ტანჯვა, სასოწარკვეთა მიწიერი თუ ციური აქ განმიცდია ყველაზედ მეტად და ყველაზედ მეტადაც ამიტომ თუ მიყვარს სამშობლო ჩემი.

მიყვარს, მიყვარს ჩემი ქვეყანა, რადგან არასფერს არ ვითხოვ მისგან გარდა თავისის სიკეთისა.

მიყვარს და მეყვარება, გინდაც წაერთვას ყოველგვარი სიკეთე ამქვეყნიური, ოღონდა კი მის მეტყველებაში მარადის იალბუზობდეს ქართველთა სულის მარმარილო დიდებული გუმბათი.

ჩემი სულის მატყვევებელო მეფეთმეფე-გვირგვინო.

ლევ. მეტრეველი.

იზადება და მერე საწამლავსავით ეფინება საზოგადოებასა და ხალხს.

ერთი უკანასკნელი ჭორთაგანია ხმები, თითქოს გერმანელებს წინადადება მიეცეთ საქართველოს მთავრობისათვის, ქუთაისში გადასახლდით. ჭორების გამავრცელებლებმა ძალიან კარგად იციან, რომ ტფილისი საქართველოს გულია, იგი საქართველოს პარიზია. იციან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მატარებელი და ღერძი ჩვენი თავისუფლებისა სწორედ ტფილისია. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ქართველი ხალხი, მისი პოლიტიკის მატარებელი შეგნებული მასა ზედ დააკვდება ტფილისს. საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა ეს ძალიან კარგად იციან და ამიტომაც სწორედ ტფილისის შესახებ ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს.

ჩვენ ამ ჭორებს არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით, ძალიან ხშირად თვით ქართველი საზოგადოება ნერვიულად რომ არ ექცეოდეს ამ ჭორებს და არ იჯერებდეს ისეთს რამეებს, რომელთა დაჯერებაც ყოვლად შეუძლებელია. ასეთი წინადადება გერმანელების მხრით იქნებოდა სიგნალი უდიდესი კატასტროფისა მთელს საქართველოში, იგი ამასთანავე ერთად სრული ად საწინააღმდეგო იქნებოდა მთელი იმ პოლიტიკისა, რომელსაც გერმანია ჩვენში აწარმოებს. ჩვენ კი გერმანელები ისეთს ბეც პოლიტიკოსებად არ მიგვაჩნია, რომ მათ ასეთი ავანტიურისტული განზრახვანი მიეწეროთ. მაგრამ ჭორების გამავრცელებლები თითონ არიან ავანტიურისტები და მოვლენათა დაფასებაც მხოლოდ ავანტიურიზმის თვალსაზრისით მიაჩნიათ შესაძლებლად.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთავრობამ ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციოს: ერთის მხრით უარჰყოს ხოლმე ასეთი ცრუ ხმები და მეორეს მხრით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს იმათ, ვინც თავის ქერქში ვერ ეტევა და განაგრძობს წყლის ამღვრევას.

შინაური.

## ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საყურადღებოდ

(ტფ. სამხედრო უწყების უფროსისაგან)

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ყველა მოქალაქენი, რომელნიც დაბადებული არიან 1896, 1897 და 1898 წლებში ვალდებული არიან გამოცხადდნენ არა უგვიანეს სექტემბრის 10-სა სამხედრო უწყების უფროსთან, სადაც ისინი ექიმების მიერ შემოწმებულნი იქნებიან და გაიგზავნებიან ჯარში. ზემოხსენებულ წელში დაბადებულნი ტფილისში მცხოვრებნი ვალდებული არიან გამოცხადდნენ სექტემბრის 6-ს დილით სამხედრო უწყების უფროსის „სბორნი პუნქტზე“. ტფილისის მაზრაში მცხოვრებნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სექტემბრის 7 და 8-ს. ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ ქალ. შულავერში სექტემბრის 9 და 10-ს, სადაც იქნება განსაკუთრებული მიმღები კომისია. საშუალო სასწავლებლის მოწაფენი უნდა გამოცხადდნენ და წარუდგინონ მოწმობები, რომ ისინი ირიცხებიან სასწავლებლებში. მათ გაანთავისუფლებენ სამხედრო ბეგრის მოხდისაგან სასწავლებლის დამთავრებამდე, თუ 22 წელზე მეტისანი არ იქნებიან. იმ პირთ, ვისაც დაუყონებლივ უწევთ სამხედრო ბეგრის მოხდა; გამოცხადებისას დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ, რომელიც შეამოწმებს მათ წლოვანობას. სხვა რესპუბლიკის ქვეშევრომნი გაწვეულნი არ იქნებიან ჯარში, მაგრამ ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ „სბორნი პუნქტზე“ და წარმოადგინონ ქვეშევრდომობის მოწმობები ელჩის ან იმ დაწესებულების, რომლებიც ელჩის უფლებებით არიან აღჭურვილნი. ვისაც ასეთი მოწმობა არ აღმოაჩნდება, გაგზავნილი იქნება ჯარში, „ზაპასში“ დათხოვილი ოფიცრები განთავისუფლებული არიან სამხედრო ბეგრის მოხდისაგან. ვინც აღნიშნულ დროს არ გამოცხადდება დეზერტირად ჩაითვლება და დაჭერისათანავე გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

## ოსმალეთის გაზეთების აზრი სტამბოლის კონფერენციაზე

სტამბოლის გაზეთ „სუარში“ გადმობეჭდილია ოსმალურ გაზეთის „ზემანის“ წერილი სტამბოლის კონფერენციის შესახებ. გაზეთი პირფერულად იხსენიებს საქართველოს და მასვე სთვლის სტამბოლის კონფერენციის გაჭიანურების მიზეზად.

ყველა შეიყარა სტამბოლში, გარდა საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის ა. ჩხენკელისა, რომელიც ბერლინში იმყოფებოდა.

მაგრამ გადის დღეები და კონფერენცია არ იხსნება. რამდენისამე ხნის შემდეგ ბერლინს მიდის გეგეჭკორი, რომელიც იქ ჩხენკელს უნდა შეხვედროდა და ორთავე დაბრუნებულიყვნენ სტამბოლს მაგრამ გეგეჭკორს არც ერთი აუსრულებია, არც მეორე. დადგა რიგი დელიგაციის მეორე წევრის სამშობლოში წასვლისა. ნუ თუ ქართველებს არ ჰსურთ სტამბოლის კონფერენცია და თუ ასეა—რატომ? თუ სტამბოლის კონფერენცია ვერ გაიხსნა, ეს მთლად საქართველოს დელეგაციის საქმე იქნება, რომელიც გაუგებარ მიზეზთა გამო აჭიანურებს კონფერენციის მოწვევის დროს.

ბოლოს „ზემანი“ ამბობს—საქართველოს მთავრობამ უნდა გაიგოს, რომ ოსმალეთი სიმპატიით ეპყრობა საქართველოს და ამ სიმპატიის მიხედვით მოქმედებსო.

## ხმა ადერბეიჯანიდან

(საუბარი ა. მ. ტობჩიბაშევთან)

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი მარდან-ბეგ ტობჩიბაშევი, რომელიც დასახელებულ რესპუბლიკის მხრით განსაკუთრებული უფლებებით არის აღჭურვილი. ყველა იმ დიდ პოლიტიკურ დამოუკიდებულებათა გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად, რომელნიც არსებობენ ოთხთა კავშირის, ადერბეიჯანის და აგრეთვე იგივე ადერბეიჯანის და საქართველოს და არარატის რესპუბლიკის შორის.

ამნაირად ბ. ტობჩიბაშევის ხელმძღვანელობით აწარმოებს ადერბეიჯანი თავის პოლიტიკას ბერლინის, ვენის, სტამბოლის, სოფიას, ტფილისის და ერევნის მთავრობათა წინაშე, რის გამო მის სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

### ადერბეიჯანი და საქართველო

ჩვენ და საქართველოს შორის დამოკიდებულება თანდათან ირკვევა, განაცხადა ბ. ტობჩიბაშევმა, და ეს დამოკიდებულება, რასაკვირველია, მხოლოდ კეთილ მეზობლური და ღრმა მეგობრული ხასიათისაა ისე, როგორც წინედ იყო. ქართველ საზოგადოებას და საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთ კარგად მოეხსენებათ, რომ ამ აზრს ვადექი მუდამ წინედ და ეხლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ორ მეზობელ შორის სხვაგვარ დამოკიდებულებას ადგილი არ უნდა ექნეს. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ ჩვენ და საქართველოს რესპუბლიკის შორის იმისთანა დიდ საკითხებში, როგორიც არის საკითხები ბონების და არბიტრაჟის შესახებ, შეთანხმება უკვე მოხდა, რაც, რასაკვირველია, სხვანაირად არც შეიძლებოდა წარმოგვედგინა..

### ტრაპიზონის წარსული და სტამბოლის მომავალი კონფერენციები

უნდა იქმნას გულახდილად ნათქვამი, რომ ტრაპიზონის კონფერენციის დროს მოხდა დიდი შეცდომა, რომლის გასწორება აუცილებლად მიმაჩნია. ამ კონფერენციაზე არ იყო ნათლად წარმოდგენილი და განმარტებული ის, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა იმ პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც შეურაცხყოფდა საქართველოს მის ტერიტორიის ჩამოგლეჯით. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სტამბოლის კონფერენციაზე, რომელიც, ჩემ ცნობებით, თუმცა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ახლო მომავალში შესდგება, ეს შეცდომა უნდა გასწორდეს, არ მაქვს სრულიად განზრახვა გავაზვიადო პირადი ფაქტორის მნიშვნელობა, დაასრულა ბაასი ამ საკითხის შესახებ ბ. ტობჩიბაშევმა, მაგრამ ჩემი აქაური მეგობრები მარწმუნებენ, რომ შეიძლება ეს შეცდომა თავიდან აგვეცილებია, რომ საშუალება გვქონოდა იმ ჟამად ტრაპიზონის კონფერენციას დავსწრებოდით

### ოსმალეთი და ადერბეიჯანი

ხმები იმის შესახებ, ვითომც ოსმალეთი იყოს დღეს მბრძანებელი ბატონი ადერბეიჯანისა, და ვითომც ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარც კი არსებობდეს, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ, როგორც ეს ყველამ იცის, არ გვყავდა რეგულიარული ჯარი ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორც ეს იყო მაგალითად საქართველოში. ამიტომ ჩვენ დაუთმეთ მხოლოდ რკინის გზის დაცვის საქმე ოსმალეთს, რომელიც ამ დახმარებას გაგვიწევს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ამას ადერბეიჯანის საერთო პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, მხოლოდ ჩვენ სხვა რომელიმე შინაურ საქმეთა ჩარევას ოსმალეთის მხრით, რომელსაც ადერბეიჯანის რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს უფლებები შეელახა, დღემდე არ ჰქონია და არც შემდეგში ექნება ადგილი.

### ჩრდილო კავკასიის მუსულმანები

ამ კითხვის შესახებ მხოლოდ ის ითქმის, რომ ჩრდილო კავკასიის მუსულმანები შეადგენენ, უთუოდ, იქ მცხოვრებ მუსულმანების დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს. ამას მოითხოვენ იქაური მუსულმანები და, უნდა ვიფიქროთ, კიდევაც მიაღწევენ თავის მიზანს.

### ბაქოს ფრონტი

ბაქოდან მე სამ კვირაზე მეტია რაც წამოვედი და ამიტომ არ მაქვს საშუალება ჩემი აზრი გაუზიარო საზოგადოებას მის ეხლანდელ შინაურ ცხოვრების შესახებ. მხოლოდ ერთი კი გადაჭრით ითქმის: მე მაქვს სახეში ის, რომ ბაქოს აღების დრო სულ ახლო მომავლის საქმეა. ოსმალეთის ჯარი ისე არტყია გარს ბაქოს და იმ სიშორეზე სდგას მასზე, რომ თუ არა ქალაქის დანგრევის და ნავთის წყაროების განადგურების შიში, სხვა არაფერი მიზეზი არ არსებობს მისი აღების დაგვიანებისათვის.

„ს. რ.“

## აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება

ენკენისთვის 5-, საღამოს 7 საათზე გაიხსნა აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება. თავმჯდომარეღ არჩეულ იქმნა თედო ბეგიაშვილი, ხოლო მდივნად მასწავლებელი ჯაფარიძე. თავმჯდომარე სთხოვს დამსწრეთ გამოთქვან თავიანთი შეხედულება კრების კანონიერად თუ უკანონოდ ცნობის შესახებ, ორატორთა უმრავლესობა მოითხოვს კრება კანონიერად იქნეს ცნობილი, ვინაიდან ეს კრება მეორედ იყო დანიშნული და თუ ეხლა არ შესდგა კავშირის შეკვრა დიდი ხნით გადიდება და ამას კი მდგომარეობა არ ითმენსო. იყვნენ ამ შეხედულების წინააღმდეგნიც, მათი აზრით ეგ ზომ მცირერიცხოვან, ჩვიდმეტ კაცისაგან შემდგარი კრების დამფუძნებელ კრებათ გამოცხადება უხერხულია. ხმის უმრავლესობით გადაწყდა კრება კანონიერად იქნეს აღიარებული და მუშაობას შეუდგნენ. სტუმრები, დასავლეთ საქართველოს მასწავლებლები, ბლომად იყვნენ. ცნობათ წაკითხულ იქნა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა წესდება, გაიმართა ბჭობა იმის შესახებ, ავირჩიოთ ეხლავ აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გამგეობა, თუ კომისია, რომელსაც დაევალება მომავალ კრებისათვის შესაფერისი წესდების წარმოდგენა.

გადაწყდა წესდების შემმუშავებელ კომისიის არჩევა, ვინაიდან არ არსებულ წესდება—კავშირის გამგეობის არჩევა უხერხულად იქნა ცნობილი. კრება შეუდგა კომისიის არჩევას. დაასახელეს ერთი, უარი სთქვა. მეორემ უარი, მესამემ უარი, მეოთხემ უარი. ყველამ უარი. კრებამ უნდა ვსთქვა კინაღამ სამარცხვინო ხასიათი მიიღო. ამ დროს შემოვიდა ვარლამ ბურჯანაძე. მას სთხოვენ, დასთანხმდა. მასთან ერთად დასთანხმდა ორი სხვაც. ამ გვარად კომისიაში არჩეულ იქმნა: ვარლამ ბურჯანაძე, თედო ბეგიაშვილი, სავლე აბულაძე.

მეორე საკითხი, განათლების სამინისტროში მასწავლებელთა წარმომადგენელის არჩევა კრებამ, ვინაიდან ჯერ კავშირიც არ შეგვიკრავსო დადებითად ვერ გადასჭრა. ჯ-მა განაცხადა: თქვენ იქნებ დიდხანს ვერ შევკრათ კავშირი დელეგატის არჩევა კი საჭიროა, ამიტომ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირი დროებით მაინც ქართველ მასწავლებელთა სახელით წარმომადგენელს გაგზავნის სამინისტროშიო. კრება ათი წუთით შეწყდა. განახლების შემდეგ ივ. როსტომაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „პოლიტიკურ - ეკონომიური კავშირი სრულიად საქართველოისა“ ამ მოხსენებამ ერთობ ცხარე კამათი გამოიწვია კამათში მონაწილეობა მიიღეს: პლატონ კეირკველიამ, თედო ბეგიაშვილმა, ვარლამ ბურჯანაძემ, გ. ნაკაშიძემ, ჯაფარიძემ, ჭეიშვილმა, სავლე აბულაძემ და მრავალმა სხვამ.

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო; ბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია სავლე აბულაძის მიერ შემოტანილი: „მასწავლებელთა კრებამ, მოისმინა რა ივ. როსტომაშვილის მოხსენება სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ახალი ტიპის შესახებ, დაადგინა მადლობა გამოუცხადოს მომხსენებელს და სთხოვოს მას, წარმოუდგინოს მასწავლებელთა კრებას თავისი მოხსენების მიხედვით წესდება არსებითად განსახილველად და გადაჭრილი აზრის გამოსატანად.

კრება გადაიდო მომავალ კვირის დილის 10 საათისათვის. საჭიროა აღმოსავლეთ საშუალო სკოლათა მასწავლებლები, რომლებიც, ცხადია, ერთობ გულგრილად ეპყრობიან თავისი კავშირის დაარსებას, რაც აიხსნება სხვათა შორის იმითაც, რომ ამდენ ხანს მთავარი კავშირი ვერ შეუკრავთ, დაესწრონ კრებას და გადასჭრან ის საკითხები რომლებიც გადადებას არ ითმენენ.

ვარლამ იმერელი.


გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.



**სახლი განმარტოებით** პიანინო შრედერის ქარხნისა და საოჯახო ნივთები იყიდება, ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 31, ნახვა შეიძლება დილის 10 ს.—ნაშ. 4-საათამდე. 968

**ტფილისის** ქალთა პროფესიონალური 5 კლასიანი სკოლა პაატაშვილისა აცხადებს მოწაფეების მიღება შეიძლება ყოველ დღეს დილის 9—საათიდან საღამოს 6 საათამდის. სწავლა დაიწყება სექტემბრის 20 ახალ სტილით, სწავლა იქნება ქართულ და რუსულ ენაზე. შესწავლა ყოველგვარ ხელსაქმესი, ჰრაკერვა, ხალიჩების ქსოვა ფეხსაცმელებისა და სხვა და სხვა ქარგვისა. ნიკოლოზის და ჩერქეზიშვილის კუთხე 2/14. 966

**იყიდება** სკარსული ხალიჩები მშვენიერი ნამუშევარი (კოშაკი). ნახვა შეიძლებ 10—2 საათამდე, საპიორის ქ. № 45, ბინა 2, იკითხეთ ტრუბინინი. 968

**ექიმი** ე. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7.

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო.-სააკაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ვოევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 5087

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო საშობიაოო განყოფილებით. დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

**ექიმი** ღ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 ს მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი, № 14 0190

**ექიმი** ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს -დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი** ქბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა 1219

**ექიმი** ქ. ტყეშელაშვილი დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება), ... მიღებით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა ... კვირისა. კერძო სამკურნალო, მიხეილის პროსპექტი № 161 ...

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ქუთაისში

**ექიმი** გ. ძორძაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ღდფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** ... დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** ი. ი. გერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვს“ პირდაპირ № 3 450

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) დებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი ... ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 902

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—85. 1270

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 774

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად.. მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდ ან ს პირველი კერძო სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთ უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

**საბუხჰალტრო კურსები.**
ნ. ვ. აბრამიანისა
ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმმათვის, ვისაც ჰსურს ბუხჰალტერია ქართულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს ... სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების ... შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.